ნასყიდობის ხელშეკრულება №

მოძრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

2022 წლის _____ ქ.თბილისი

წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) დაიდო, შემდეგ მხარეებს შორის:
ერთი მხრივ - სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა“ (შემდგომში – გამყიდველი) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის იოსებ ლოლაძის სახით
და
მეორე მხრივ - ქონების შემძენი, _____ (საიდ.კოდი:_____), (შემდგომში - მყიდველი) წარმოდგენილი _____სახით (პ.ნ. _____)
თითოეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად – მხარეები,

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 25 იანვრის N 2 ბრძანებით დამტკიცებული - „სამხედრო ქონების რეალიზაციის ფორმით განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ 2011 წლის 10 თებერვლის №1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა“ დებულებისა და ცენტრის გენერალური დირექტორის 04.03.2019წ. №60 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, გამყიდველის მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის (გ/ნ _____ ლოტის ნომერი _____ დასრულების თარიღი _____წ.) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. **ხელშეკრულების საგანი და საპრივატიზებო თანხა**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, გამყიდველი გადასცემს საკუთრებაში, ხოლო მყიდველი იღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მოძრავ ნივთს (შემდგომში – ქონებას), კერძოდ **??? (???) ტონა** ჩამოწერილ, _____ ჯართს.
ხელშეკრულების საგნის ჯამური ღირებულება შეადგენს (მყიდველის მიერ ელ.აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა) **??? (???) ლარს**. **(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შავი და ფერადი ლითონის ჯართის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით. (დღგ 0%).**

2. **ანგარიშსწორების პირობები**

2.1. მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული თანხა **??? (???) ლარი**, მის მიერ გადახდილი „ბე“-ს თანხის (საგარანტიო თანხის) **??? (???) ლარის** გამოკლებით, კერძოდ **??? (???) ლარი** ჩარიცხოს შემდეგ ანგარიშზე:

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში:
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22;
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 707297519

2.2. საბოლოო ანგარიშსწორებისას მყიდველს გადახდილი ბე **??? (???)** ლარი ეთვლება საპრივატიზებო შემოსულობის ნაწილად.

2.3. მყიდველი ვალდებულია ქონების საპრივატიზებო საფასური გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის ვადაში, კერძოდ **2021 წლის ???? მდე**.

2.4. თუ ვადის ბოლო დღე არ ემთხვევა სამუშაო დღეს, გადახდის ვადად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე. საპრივატიზებო თანხა გადახდილად ჩაითვლება მისი გამყიდველის ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

3. **მხარეთა უფლებები და მოვალეობები**

3.1. მყიდველი ვალდებულია:

3.1.1. გადაიხადოს საპრივატიზებო საფასური 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში და ამავე ვადაში წარუდგინოს გამყიდველს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3.1.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3.1.3. უზრუნველყოს ქონების გატანა მისი განთავსების ადგილიდან, თავისი ხარჯებით, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით, საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის შემდგომ, არაუგვიანეს ??? სამუშაო დღეში.
3.2. გამყიდველი ვალდებულია:
3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ამ ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი დადასტურება.

## 4. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

4.1. მყიდველს ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ხელშეკრულების ხელმოწერის და საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის დადასტურების მომენტიდან.
4.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშ(ებ)ზე საპრივატიზებო საფასურის გადარიცხვის/შეტანის დამადასტურებელი შესაბამისი საბანკო დოკუმენტი.
4.3. ქონების შემძენს შეძენილ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურის გადახდამდე არ აქვს უფლება შეძენილი ქონება გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს.
4.4. მყიდველი ვალდებულია, შეძენილი სახელმწიფო ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამყიდველს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადის (რომელიც არ აღემატება 10 კალენდარულ დღეს) და პირგასამტეხლოს ოდენობის მითითებით.. კერძოდ:
ა) საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
ბ) ქონების გატანის ვადების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა - ქონების სარეალიზაციო ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. ასეთ შემთხვევაში უქმდება აუქციონის შედეგები, პრივატიზებული ქონება უბრუნდება გამყიდველს და სახელმწიფო ქონების შემძენს არ უნაზღაურდება საპრივატიზებო თანხა, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული დანახარჯები.
5.3. დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.4. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა თანხა მყიდველს არ უბრუნდება თუ:
ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;
ბ) აუქციონში გამარჯვებულმა პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა საპრივატიზებო საფასური;
გ) დაარღვია აუქციონში მონაწილეობის „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობები.

## 6. ფორსმაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორსმაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორსმაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება გამყიდველის ან მყიდველის კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან

სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორსმაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ მხარეს არ შეეძლო. ფორსმაჟორის არსებობა უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6.2. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორსმაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არა უგვიანეს 10 დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

6.3. ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადავადდება ფორსმაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.5. გამყიდველს უფლება აქვს 60 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს ფორსმაჟორის გაგრძელების შემთხვევაში განიხილოს წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

## 7. შეტყობინებები და ენა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

7.2. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ფაქსის, შეკვეთილი წერილის, კურიერის ან ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართებზე.

7.3. გამყიდველის შეტყობინების მონაცემები:

- იურიდიული მისამართი:
- ტელ:
- ფაქსი:
- ელექტრონული ფოსტა:

7.4. მყიდველის შეტყობინების მონაცემები

- იურიდიული მისამართი:
- ტელ:
- ფაქსი:
- ელექტრონული ფოსტა:

7.5. თითოეული მხარე მისამართის შეცვლის შემთხვევაში ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება.

7.6. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება ადრესატისთვის მისი გადაცემის ან გაცნობის მომენტიდან, ამასთან, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი გაგზავნის მომენტიდან.

## 8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში საკითხი წყდება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 9. სხვა დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

9.2. ხელშეკრულების ყველა ცვლილება/დამატება ან/და დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.4. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან/და ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა პუნქტების გაუქმებას ან/და ბათილობას.
9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
9.6. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად: 1 ეგზემპლარი გადაეცემა მყიდველს, ხოლო მეორე ეგზემპლარი გამყიდველს.
9.7. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

| | |
|---|---|
| გამყიდველი | მყიდველი |
| სსიპ - სახელმწიფო სამხედრო<br>სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი<br>"დელტა" | _____ |
| | იურ. მისამართი:<br>_____ |
| იურ. მისამართი: ქ. თბილსი, მნათობის ქ. #73<br>საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335<br>მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში:<br>მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;<br>ბანკის კოდი - TRESGE22;<br>მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 707297519 | საიდენტიფიკაციო კოდი №<br>პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში) |
| | საბანკო რეკვიზიტები:<br>_____ |
| | _____ |
| **გენერალური დირექტორი** | დირექტორი |
| _____ | _____ |
| **იოსებ ლოლაძე** | |